

დღეს გაიხსნება საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობა

ჩვენი მხურვალე სალამი ყრილობის დელეგატებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 ოქტომბერი ხუთშაბათი 1969 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი

№ 253 (14553)

საკოლმეურნეო შრომის ვეტერანები



საკოლმეურნეო ცხოვრების სახელოვან ვეტერანებს კობა ჩოხელსა და სოფიო გაზანდარაშვილს ბევრი აქვთ მოსაგონარი. ისინი მეგობრულად საუბრობენ იმ შრომისა და გმირობის გმირულ გზაზე, რომელიც მათ გამოიარეს. ჩოხელი კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო პირველი ყრილობის მონაწილეა, ხოლო გაზანდარაშვილი მეორე ყრილობისა.

ვინ არ იცნობს ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირს, ორგზის სოციალისტური შრომის გმირს თამარ ყუფუნიას და მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მეჩაიეს, სოციალისტური შრომის გმირს ტატიანა ჩხაიძეს. მათ ჩაის ბუჩქის მესაიდუმლეებს უწოდებენ.

სოფლის სახელგანთქმული ადამიანები საქართველოს კოლმეურნეთა მესამე ყრილობაზე მოვიდნენ იმ ურყევი რწმენით, რომ ახალი წესდების მიღების შემდეგ საზოგადოებრივი მეურნეობა შემდგომ განვითარდება, კოლმეურნეთა ცხოვრება უფრო საამური იქნება.

სურათებზე: ზემოთ:— ს. გაზანდარაშვილი და კ. ჩოხელი, ქვემოთ — თ. ჩხაიძე და თ. ყუფუნია.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

კოლექტიური შრომის ტრიუმფი

დღეს თბილისში გაიხსნება საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობა.

ჩვენმა სახელოვანმა მემინდვრეებმა და მევენახეებმა, მეჩაიეებმა და მეციტრუსეებმა, მეხილეებმა და მეცხოველეებმა, საქართველოს მრავალდარგოვანმა კოლმეურნეობებმა, თავიანთ ყრილობაზე წარგზავნეს შრომაში გამოწრთობილი ადამიანები, ნოვატორები, სიუხვის ოსტატები.

დედა-თბილისი გულმხურვალედ შეეგება მათ.

ყრილობას წინ უძღოდა კოლმეურნეთა ენერგიული და ნაყოფიერი შრომა — მარცვლეულის დამზადების წლიური გეგმის გადამეტებით შესრულება, 231 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოკრეფა, სახელმწიფოსთვის 301.200 ტონა ყურძნის მიყიდვა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც შესანიშნავი წარმატებები.

ყრილობაზე მოვიდნენ ის ადამიანები, რომლებმაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებშივე დაარწიეს საკოლმეურნეო მშენებლობის აკვანი.

ყრილობაზე მოვიდნენ კოლმეურნეები, რომლებმაც მოსავლის სიუხვით, სოფლის მეურნეობაში სიახლის დანერგვით, ნოვატორობით საყოველთაო აღიარება და სახელი მოიხვეჭეს.

ყრილობაზე მოვიდა ჩვენი სიამაყე, მომავლის იმედი — კოლმეურნე ახალგაზრდობა — სოფლად ყველა სიუხვის შემოქმედი, ყველა სიახლის ინიციატორი.

დელეგატთა შორის ბევრ კოლმეურნეს მკერდზე უბრწყინავს თავდადებული და ნაყოფიერი შრომით მოპოვებული უმაღლესი ჯილდო — სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი.

ყრილობაზე მათი ხმა, მათი მოგონებანი, ცხოვრებისა და შრომის მდიდარი გამოცდილება მარად მისაბაძი და სამაგალითო იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

დღეს საბჭოთა სოფელში ბევრი სიახლეა დამკვიდრებული. კოლმეურნე ის არ არის, რაც ოცდაათიან წლებში იყო. ახლა ჩვენი კოლმეურნე კომუნიზმის აქტიური, შეგნებული მშენებელია. ამაღლდა მისი ცოდნის დონე, გაძლიერდა კოლმეურნეობის ეკონომიკა, მექანიზაციამ ფართოდ მოიკიდა ფეხი სოფლის მეურნეობაში. ელექტრობა, კინო, რადიო, ტელევიზია, გაზეთი კოლმეურნეთა ცხოვრების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი გახდა. ცხოვრება წინ წავიდა.

ამ გრანდიოზულ შრომებით მოვიდნენ დღეს ყრილობაზე ჩვენი სახელოვანი ადამიანები. ისინი იმსჯელებენ დიდ და საშვილიშვილო საქმეებზე, იმსჯელებენ ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის სიდიადეზე, ახალი წესდების პროექტის ცხოველმყოფელობაზე, წამოაყენებენ პრაქტიკულ, საქმიან წინადადებებს.

გაივლის კიდევ რამდენიმე ხანი, და მოსკოვში გაიხსნება კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო III ყრილობა, რომელიც განიხილავს და მიიღებს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალ წესდებას.

ახალი წესდების მიღება განამტკიცებს კოლმეურნეობათა მიღწევებს, უზრუნველყოფს მათ განუხრელ აღმავლობას. ეს იქნება საკოლმეურნეო წყობილების განვითარების ახალი ეტაპი და შექმნის იმის საფუძველს, რომ უფრო ამაღლდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონე.

ამიტომ ულერს ასე ძლიერად პარტიის საოქტომბრო მოწოდება: „კოლმეურნეებო, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! იბრძოლეთ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის! ახალი შრომითი წარმატებებით შეეხვედეთ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო ყრილობას!“

ამ ლოზუნგით შრომობენ ახლა სოფლად ჩვენი კოლმეურნეები, ამ აზრით მოვიდნენ საქართველოს კოლმეურნეთა მესამე ყრილობაზე საკოლმეურნეო სოფლის რჩეული ადამიანები.

დიდება მათს ნაყოფიერ შრომას!

მხურვალე სალამი საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობის დელეგატებს!

საქართველოს მევენახეთა დიდი გამარჯვება

რესპუბლიკის მევენახეებმა, ფართოდ გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება ლენინსანიშნავი თარიღის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოს სსრ კოლმეურნეთა მე-3 ყრილობის აღსანიშნავად, ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის გეგმა.

29 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 301.200 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 290.000 ტონისა.

უხვი მოსავლისათვის გრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი **გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, ახმეტის, ყვარლის, წითელწყაროს, საგარეჯოს, ზესტაფონის, თერჯოლის, ვანის, მაიაკოვსკის, ამბროლაურის, საჩხერის, წყალტუბოს, ორჯონიკიძის** რაიონების მუშაკებმა.

კარგად იმუშავეს მცხეთის, მარნეულის, თეთრი წყაროს, ქარელისა და სხვა რაიონების მევენახეებმა.

რესპუბლიკის მეღვინეობის საწარმოებში, სადაც ყოველმხრივ მოემზადნენ სეზონისათვის, წარმატებით მიმდინარეობს ყურძნის გადამუშავება.

ვენახიდან მოსავლის შეუფერხებელი გადაზიდვა დამამზადებელ პუნქტებში უზრუნველყვეს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო კანტორების მუშაკებმა.

სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვა გრძელდება. (საქდესი).

საქართველოს სსრ კოლმეურნეთა III ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

საქართველოს სსრ კოლმეურნეთა მე-3 ყრილობა გაიხსნება დღეს, 1969 წლის 30 ოქტომბერს, დილის 11 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა დაათვალიერეს საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობისადმი მიძღვნილი გამოფენა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში გაშლილია რესპუბლიკის კოლმეურნეთა მე-3 ყრილობისადმი მიძღვნილი სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და სასოფლო მშენებლობის მიღწევათა გამოფენა. ლამაზი პანოს ფონზე, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს საქართველოს მრავალფეროვან ბუნებას, ექსპონირებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი ჯიშები, რომლებიც სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა გამოიყვანეს, საცდელი სადგურებისა და საექსპერიმენტო საწარმოთა პროდუქცია. თავიანთ მიღწევებს აჩვენებენ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშთგამოცდის სახელმწიფო ინსპექცია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის კათედრა, საპროექტო ინსტიტუტები, ცეკავშირი.

ქართველი მეცნიერებისა და კონსტრუქტორების მიერ შექმნილი ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გამოფენილია ღია მოედანზე მთავრობის სახლის ეზოში. აქ არის ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, სეტყვის საწინააღმდეგო დანადგარები „ღრუბელი“ და „ალაზანი“, სამთო მიწათმოქმედების მექანიზმები, ბევრი სხვა მანქანა და იარაღი.

ექსპოზიციამ რესპუბლიკის ხელმძღვანელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ახსნა-განმარტებას იძლეოდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ბ. ფალავანდიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ლომიძე და მხატვარი ს. კეცხოველი.

(საქდესი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

მოსკოვი

მადლობას გიძღვნით მოლოცვისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის 20 წლისთავის გამო.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო

პეკინი, 1969 წლის 28 ოქტომბერი.

ყრილობის დელეგატები

საქართველოს კოლმეურნეთა მესამე ყრილობის დელეგატებად სოციალისტური შრომის გმირი დურსუნ ბაკურიძე ბათუმის რაიონის კოლმეურნეებმა აირჩიეს. ეს სახელოვანი მეციტრუსე ყოველწლიურად ნარინჯების უხვ მოსავალს იღებს. წელსაც 25 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს მისცემს სამშობლოს, რაც გეგმას 7 ტონით აღემატება.

ყრილობაზე სოფელ გონიოს კოლმეურნეთა წარმომადგენელი ახალ მეგობრებს, თანამოსაქმეებს გაიცნობს, ბევრ სიახლეს გაიგებს, მონაწილეობას მიიღებს კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების პროექტის განხილვაში, შემდეგ დაუბრუნდება მშობლიურ კოლმეურნეობას და თანასოფლელებს ესაუბრება ყრილობაზე მიღებულ შთაბეჭდილებებზე. მერე კი ციტრუსების რთველიც გაჩაღდება...

სურათზე: მეციტრუსე დ. ბაკურიძე.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქდესის ფოტოქრონიკა)

სირანა დრიაევა ლენინგორის რაიონის სოფელ ორჭოსნის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი კოლმეურნეობის მწველავია. დრიაევამ ამ ათი წლის წინათ დაამთავრა საშუალო სკოლა და მაშინვე კოლმეურნეობის ფერმაში დაიწყო მუშაობა. ყრილობაზე დელეგატი ქალიშვილი ხელდამშვენებული მოვიდა. ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 850 ლიტრისა საშუალოდ ერთ ძროხაზე 950 ლიტრი რძე მიიღო. წლის ბოლომდე 200 ლიტრს კიდევ მიიღებს. სურათზე: ორჭოსნელი დელეგატი ს. დრიაევა.

ფოტო მ. ალბოროვისა.



უშანგი ჟუჩუბერიამ სახელი გაითქვა როგორც უნარიანმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. ბესლახუბის კოლმეურნეობას იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობს. ეს კოლმეურნეობა ყოველწლიურად დიდ წარმატებებს აღწევს. სახელგანთქმული თავკაცი თანასოფლელებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

ოჩამჩირელებმა ამას წინათ კოლმეურნეთა რაიონულ კრებაზე უშანგი საქართველოს კოლმეურნეთა მესამე ყრილობის დელეგატად წარგზავნეს.

სურათზე: ოჩამჩირის რაიონის ბესლახუბის კოლმეურნეობის თავმჯდომარე უ. ჟუჩუბერია.

ფოტო ს. პორეტკოვისა.

სახელოვანი კაკეები, მამეები, შვილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეხვედრა გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში
სამი თაობის კოლმეურნეებთან

ყრილობის გახსნის წინადღეს, გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში თავი მოიყარეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ცნობილმა ადამიანებმა, რომლებიც დიდი გარდატეხის წლებში პირველნი დაადგნენ ახალი ცხოვრების გაუკვალავ გზას. ჭალაროსან ვეტერანებთან ერთად იყვნენ საკოლმეურნეო წარმოების ახალგაზრდა მეთაურები და რიგითები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ორგანიზატორული ნიჭით და საქმისადმი დიდი ერთგულებით.

გულღია საუბარში, რომელიც დაახლოებით ორ საათს გაგრძელდა, მონაწილეობდნენ: დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო II ყრილობის დელეგატი, გორის რაიონის კარალეთის კოლმეურნეობის ვეტერანი ს. ბაბანდარაშვილი, წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კომუნის დამაარსებელი, პენსიონერი პ. ჩოხელი, იმავე რაიონის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნ. მამაიაშვილი, ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ვ. კუპრეიშვილი, ლაგოდეხის რაიონის ცოდნისკარის კოლმეურნეობის ვეტერანი, დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო II ყრილობის მონაწილე დ. მანგოშვილი, ცხინვალის რაიონის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი გ. საბკაევი, მახარაძის რაიონის ასკანის კოლმეურნეობის აგრონომი, სოციალისტური შრომის გმირი კ. ნაცვალაძე, წითელწყაროს რაიონის ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. კობაძიძე, მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. წითლიძე, გორის რაიონის სოფელ ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ეცადაშვილი, სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ბელაშვილი, გორის რაიონის ნიქოზის კოლმეურნეობის თავმჯდომარე რ. ყანჩაველი, გორის რაიონის ფლავის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. გოგშელიძე, ცხაკაიას რაიონის ფოცხოს კოლმეურნეობის მეჩაიე ქ. სანაია.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ საუბრის ჩანაწერს.

ნ. მამაიაშვილი.

კ. ნაცვალაძე.

ა. კობაიძე.

გ. საბკაევი.

ვ. გოგშელიძე.

რკინის მხედარი

ჯაკელ ნათობიშვილი დაჭრილი იწვა ტახტზე. ტყეში ხეტიალის დროს ჭრილობა გახსნოდა.

ქოხში სიჩუმე სუფევდა. სარკმელში იჭყიტებოდა მთვარე და ზედ საწოლზე აფრქვევდა ოდნავ მკრთალ სხივებს. სისხლი ბლომად დაკარგოდა, დასუსტებული პარტიზანი პირაღმა იწვა, ფიქრებს გაეტაცა. ეძინებოდა, მაგრამ თვალის დახუჭვისა ეშინოდა, მაშინვე მგლებივით დასესხდნენ სიზმრები.

— „ღმერთო ჩემო, რით დამთავრდება ყოველივე ეს? ნუთუ ისტორიის ჩარხი უკუღმა შეტრიალდება!" — გაიფიქრა ჯაკელმ, წამოდგა, სასთუმლიდან რევოლვერი გამოიღო...

ჭაბაკასა გული რკინისა,
აბჯარი თუნდა ხისაო...

ტკბილად დაიღიღინა და თითქოს მუხლში ძალა მიეცაო, ქოხის კარი გააღო, ფერდობებს ადევნებულ ტანმაღალ ხეებს ჩაუარა. ქოხის გვერდით ოდნავ დაგაკკაზე მუხის უხარმაზარი თავკომბალა ჩრდილი დევიგით იყო გაწოლილი და ნიავის ყოველ დაქროლებაზე ვეება კალთებს აფარფატებდა.

ჯაკელ ჭრილობას არ შეეპუა, თამამად ჩაჰყვა ხევისკენ მიმავალ ბილიკს...

...ცისკრის ვარსკვლავი ამოსული იყო, როცა სოფელში ცეცხლი გაუჩნდა ფაშისტების ტყვია-წამლის საწყობს, ნაღმმა ზედ ხიდთან გადააბრუნა ორთქლმავალი, და მტრის ეშელონი მდინარეში ჩაილეწა.

ხალხის მრეხხანებას ბუნებამაც მხარი აუწყო. მზეს ისეთი ქარიშხალი ამოჰყვა, რომ იმ დღეს სოფელში ქვა-ქვაზე არ დარჩენილა... მზეს მაღლა აიწია, ქარიშხალი მაინც უტევდა არემარეს, ხვეტდა, ჰაერში იტაცებდა ქვასა და ღორღს, მტვრით აბნელებდა ხეობას.

— ჰაი დედასა მტრისასა, ვერანებო! — გაისმა ხმა, და როცა უკუქცევლმა ქარმა მტვერი გაფანტა, გამოჩნდა სახედაქექილი ჯაკელ ნათობიშვილი, რომელსაც ფეხდაფეხ მოსდევდა ავტომატსმარჯვეული ორი ფაშისტი.

ჯაკელ დინჯად მიაბიჯებდა... ყოველი ნანგრევი, გადათხრილი ძიწა, ძირფესვიანად მოგლეჯილი ხე გულს უკლავდა, სევდას ჰგვრიდა.

— ჰაი, დედასა მტრისასა! — ერთხელ კიდევ გაიფიქრა ნათობიშვილმა და სახეზე ხელი მოისვა. ზედ ლოყაზე სისხლის წვეთები შედედებულიყო, დაქექილი კანი თანდათან უმაგდებოდა, მარჯვება ყურის ძირას ნაჭრილობევიდან ჯერ კიდევ ეონავდა თბილი სისხლი.

ქარმა კვლავ დაუბერა. თითქოს მტარვალთა უნამუსობისა შერცხვაო, ასვეტა ქვა და ღორღი, ჩამოაბნელა გზა და ხეობა.

ისევ გაიწმინდა გზა, ისევ განათდა. გულმკერდჩალეწილმა ტანჯა ხევში უმოწყალოდ რომ ჩაქოლა ხელყუმბარებს, ჯაკელ ნათობიშვილს თავისი ტრაქტორი გაახსოვა. ოცნებამ კარკატებიდან მმობლიურ სოფელში — ზემო ქედში გადააქროლა. შირაქის ველი და მოდუდუნე ალაზანი გაცოცხლდნენ მკერდდასისხლიანებული პარტიზანის თვალწინ.

...შირაქის ველზე გუგუნით გადმოეშვა მისი „ხოლტი", სერგო ორჯონიკიძემ ზემო ქედის კომუნას რომ შეაძენინა. კობა ჩოხელმა ჩაადარა იგი პირველ ქართველ ტრაქტორისტებს — ჯაკელ ნათობიშვილს, ვასილ ქავთარაძეს და უთხრა: „ჰა ბური და მოედანი... დასაბამიდან იწვა და ამას ელოდა შირაქის ველი... შეეხეთ, ვაკეაცებო, მაღლიან მიწას, გადააბრუნეთ შავი ბელტები, ადამიანის გული გაახარეთ".

გაასხენდა ნათობიშვილს ზედ არხიღოსკალოსთან, ნაპურალში ერთხელ ტრაქტორმა რომ წაიბორძიკა, შემდეგ ამოაბეკვა, ჯვალი ამოუშვა და წინ ვერ წაიწია...

ბელტისთავთან მიწაში ქართული გორდა ესვენა.

ტრაქტორისტი დაიხარა, შავი ბელტი სულ ხელით დაფშვნა, ხმალი გამოიღო... იგი შუაში იყო გადამტყდარი.

ჩაფიქრდა ნათობიშვილი. ვინ იცის, იქნებ ამ მაღლიან მიწაზე იყო ის კალო, რომელზეც შემოსეულმა ურჯულობამ ხორცლის წილ ჩვილი ბავშვები გალეწეს...

ტრაქტორისტმა ხმალი უბეში ჩაიდო. ცივად კი არა, მეტად მხურვალედ მოეჩვენა მამაპაპათა ნაწრთობი რკალი. შემდეგ მიუჯდა ტრაქტორის საჭეს, ააგუგუნა რკინის ხარი, ბელტი ბელტზე გადააწვინა და, წარსული ჭირ-ვარამი რომ გაეფუტა, გუთნისდედური წამოიწყო.

...ჯაკელ ნათობიშვილი ახლაც, ფაშისტებს სასრჩობელიანაკენ ხელფეხშეკრული რომ მიჰყავდათ, გუთნისდედურს მღეროდა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი და მტრის ჯიბრზე ერთხელაც არ დაუკვნესია.

სამამულო ომში ზემოქედელი ვაჟკაცების გმირობის ამბავს ყველაზე წინ კობა ჩოხელი იგებდა. მას უამრავი წერილი და დეპეშა მოსდიოდა. ერთი მათგანი ჯაკელ ნათობიშვილის გმირულად დაღუპვის ამბავს იტყობინებოდა. ეს მართლაც გმირი კაცი თავიდანვე კობას მარჯვენა ხელი იყო — ახალდაბადებული კომუნის პირველი მექანიზატორი. მაშინ მხოლოდ ერთი „ხოლტი" ეწეოდა „აგიტაციას" შირაქის თვალუწვდენ ველზე. თითქოს უხარმაზარ ოკეანეში პატარა იალქნიანი ნავი შეაცურესო ისე წერტილივით იჯდა ეს რკინის ხარი ამ ვრცელ მადლიან მიწაზე... ეს იყო ნამდვილად პირველი მერცხალი, შირაქის ველის დიადი მომავლის მახარობელი, ჩვენი სამშობლოს დიდი გაზაფხულის შემთრძანების ნათელი მეკვლე.

ერთხელ საბა გეგეჭკორი ზემო ქედის კომუნის თავკაცს კობა ჩოხელს ეწვია. სახნავ-სათესი მიწები სულ ფეხით შემოიარეს. კობამ კომუნის შინაგანაწესი, რომელსაც სოფელში „ქედის კანონს" ეძახდნენ, გულდასმით წააკითხა რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარს. ბევრი იდავეს. „ქედის კანონში" ორი ახირებული მუხლი იყო. პირველი: „დაინგრეს ყველა გლეხის ქოხი მიუხედავად მათი სურვილისა, სამაგიეროდ მიეცეს მათ ახალი ოთახები კომუნის სასახლეში. მეორე: „ვინც კომუნის ოჯახში და-ძმობის კანონს დარღვევს, დახვრეტილ იქნას".

კობა ჩოხელმა ეს ამბავი — შირაქში პირველი კომუნის დაბადების ისტორია ერთხელ კიდევ გაახსენა საქართველოს კოლმეურნეთა რესპუბლიკური ყრილობის მონაწილეებს, რომლებიც 28 ოქტომბერს შეეკრიბნენ გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში.

კობამ გაიხსენა ის სახელოვანი დღეები, როცა საქართველოს მშრომელები თავგანწირულად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. გაიხსენა ის დროშა, რომელიც ასე ლაღად მოაქონდათ ქართველ რევოლუციონერებს სამშობლო ქვეყნის სადიდებლად.

— მას შემდეგ ორმოცდარვა წელმა განვლო, — თქვა მან, თითქოს ჯუშინ იყო, ისე მიდგას თვალწინ ყოველივე... ბრძოლა, თავგანწირვა, გამარჯვება.

დაბერდი?!. არა, ხანი მაქეს დიდი, თორემ გული ჯეელეთით მერჩის, ალაზნის ველზე, შირაქში შრომა და ჯაფა, იალბუზზე გაჯირითება სიცოცხლედ მიღირს... სულ არსენა კობაიძის ბრალია, ჩემი გაზრდილი მაინც არ იყოს — ნაამბგარი კაცი ხარ, დაისვენეო — პირი მომითოფლა და იმაზე კი არ ფიქრობს, გაძლებს თუ ვერა კობა ჩოხელი უშრიალოდ, — სიცილით ამბობს ზემო ქედში ყველაზე პატივცემული, დაფასებული კაცი და გულმხურვალედ დასძენს:

— ჩვენს შორის დარჩეს, და ჩვენმა არსენამ არა მარტო თავმჯდომარეობა წამართვა, არამედ საკუთარი სახელიც ადგა და თავის ვაჟს კობა შეარქვა. არც ბძლა ტყდება. ამბობს, ჩვენი გვარის ხალხს სახელი კობა ოდითვე უყვარდაო.

იღიმეცა კობა ჩოხელი. უხარია, მისი დაწყებული საქმე ასე აღმა რომ მიდის, ასე მარჯვედ შლის ფრთებს კოლმეურნეობა, ასე რომ იზრდება ფაფოთოდება, მოვიდნენ სოფელი ზემო ქედი.

— წელს არსენა კობაიძე ყველაფერში გამითაბაბრდა. მე ოცდაორ წელიწადს ვიყავი ჯერ კოსუნის, შემდეგ კი ზემო ქედის კოლმეურნეობის თავმჯდომარე... მასაც უკვე ოცდაორი წელი შეუსრულდა, რაც ჩემს საყვარელ სოფელსა და მის შრომისმოყვარე კოლმეურნეებს ხელმძღვანელობს.

უხარია ამაგდარ კაცს, იღიმება და ისევ კომუნაზე მოგვითხრობს.

— კომუნის პირველი კანონი ყველამ სიხარულით როდი მიიღო. კობა ჩოხელი თვითნებობს, სახლებს გვინგრევს, დაგვეხმარეთო, — მიმართა ზოგიერთმა საქართველოს სსრ ცაკის თავმჯდომარეს ამბ. ფილიპე მახარაძეს. ფილიპემ მოუსმინა გლეხებს და განცხადებაზე წააწერა: „ამბ. კობა ჩოხელს! თანახმად კანონისა სასწრაფოდ დაუბრუნეთ ბინები განმცხადებლებს. შესრულება მაცნობეთ".

თავზარი დამეცა, — განაგრძობს საუბარს კობა, — დავარღვიო კომუნის კანონი — ეს ნიშნავს დაიღუპოს ყველაფერი, დავიხიო უკან და გაქრება ჩემი ავტორიტეტი... არა და ვიცი, ფილიპე მახარაძის სიტყვა კანონია. ვიფიქრე, ავწონ-დავწონე ყველაფერი, გავითვალისწინე ბევრი უსიამოვნო შედეგიც და მეც იმ განცხადებას წავაწერე: — „...ვინაიდან კომუნის კანონს ეწინააღმდეგება უარი ეთქვას. კობა ჩოხელი".

დაეწერე, დავუქახე მდივანს და განცხადება საქმეში ჩავაკერებინე, ხოლო მთხოვნელები დავითხოვე. მეგონა ამით დამთავრდებოდა ყველაფერი, ახირებულ მეზობლებს დავაშინებდი, მაგრამ მოვტყუვდი, ჩემი რეზოლუცია იმ საღამოსვე გააგებინეს ფილიპე მახარაძეს. რომ იტყვიან, შავი დღე დამადგა, მაგრამ ისევ სერგო ორჯონიკიძემ და საბა გეგეჭკორმა მიხსნეს. მომჩივანთა ქოხები კვლავ ამამენებინეს და ფილიპეს რისხვაც ამაცილეს.

მეორედაც აღმოვჩნდი მეტად მძიმე მდგომარეობაში. კომუნის კანონის მეორე მუხლი დაარღვიეს ერთმა ჭაბუკმა და გოგონამ. ისინი მოიყვანეს და კომუნის სასამართლოს გადასცეს.

თავმი ხელი შემოვირტყი. დავხვრიტო ახალგაზრდები — რა უფლებით, არ დავხვრიტო და გთხავდა, კომუნაში საერთო ცხოვრების წესი და რიგი მოიშლება (მტრებიც ხომ სულ ამას გაიძახოდნენ). მთელი ღამე არ მეძინა. გათენდა, მოვიწვიე კომუნის სამი უხუცესი წევრი — მეტად სანდო ადამიანები. მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ: მე, როგორც მთავარ მსაჯულს, აუცილებლად უნდა გამომეტანა დახვრეტის განაჩენი, ხოლო შემდეგ სამ ეხუცესს ეთხოვათ ჩემთვის შუბრალება.

ასეც მოხდა. სასამართლო პროცესი მოეწყო. ორივე დამნაშავეს სიკვდილით დასჯა გამოვუტანეთ, მერე სამი მოხუცისა და კომუნის ყველა წევრთა თხოვნით ბრალდებულებს უმაღლესი სასჯელი შეეუცვალეთ სოფლიდან სამუდამოდ განდევნით.

ამის შემდეგ კომუნის კანონი — და-ძმობის მუხლი არავის არ დაურღვევია.

პირველად კომუნაში გაერთიანებული ვიყავით ჩვიდმეტი ოჯახი. სასახლეში ყველა ოჯახს ცალკე ჰქონდა ოთახები. შრომა განაწილებული იყო. ყველა იმას აკეთებდა, რისი უნარი და ღონე შესწევდა. შემოსავალი არ ნაწილდებოდა. მთელი ჭირნახული ერთ ბეღელში იყრებოდა, სალარიც საერთო გვქონდა. უფასო იყო საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი, კომუნალური მომსახურება. კომუნის წევრს ფული მხოლოდ მაშინ ეძლეოდა, როცა სადმე სტუმრად ან სასეირნოდ მიდიოდა.

ჩვენმა კომუნამ 1934 წლამდე იარსება.

ახლა სათქმელად ადვილია, მაგრამ იმ რკა წლის მანძილზე ბევრი სიძნელე გადავლახეთ. ვგავდით ოკეანეში შეცურებულ პატარა ნემს, რომელსაც მოტორიც აქვს და თვითმფრინავის პროპელერიც, მაგრამ არც ზღვაში საცურავად არის მზად და არც ჰაერში გასაფრენად. ბევრს ვცდილობდით, რა არ გამოვიგონეთ, მაგრამ თანდათან დავრწმუნდით, რომ კომუნა ნაადრევი წამოწყება იყო, ხაზი გადავუსვით „კომუნის კანონს" და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას დავემორჩილეთ. დავაარსეთ ზემო ქედის კოლმეურნეობა. თავმჯდომარედ ისევ მე ამირჩიეს. ვზიდე ეს ტვირთი 1948 წლამდე, და როცა სიბერე მხრებზე მძიმედ დამაჯდა, სხვას დავუთმეთ სოფლის თავკაცობა.

დასამალავი როდია, საკოლმეურნეო მშენებლობას თავიდანვე ბევრი მტერი ჰყავდა, მარტო შეძლებული გლეხობა კი არა, ინტელიგენციის დიდი ნაწილიც ზოგჯერ აღმაფრად უყურებდა ამ საშვილიშვილო საქმეს. ჩვენი სახელოვანი მწერლებიც დუმდნენ... მხოლოდ იმდროინდელი ერთი შესანიშნავი ნაწარმოები ჩამრჩა გულში, როგორც საკოლმეურნეო მშენებლობის დიდი სიმღერა — ეს არის კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი".

კობა ჩოხელის საუბარმა, რედაქციაში მოსული სახელოვანი კოლმეურნეები — ვეტერანები და ახალგაზრდები ძალიან დაინტერესა.

მარად დაუვიწყარი

ბევრი რამ საინტერესო გაიხსენა დამკვრელ კოლმეურნეთა II საკავშირო ყრილობის მონაწილემ სერგო ბაზანდარაშვილმაც.

— კოლმეურნეობაში 1930 წელს შევედი, — თქვა მან, — მაშინ ძალიან ძნელი იყო კოლმეურნეობაში ქალის მუშაობა მამაკაცებთან ერთად. ჩვენი ოჯახიდან მე ერთმა დავიწყე მუშაობა კოლმეურნეობაში. მალე სოფლის სხვა ქალებიც ჩავაბი ამ საქმიანობაში. ვმუშაობდით მუყაითად და ყოველწლიურად ვადიდებდით კოლმეურნეობის შემოსავალს, ვაუმჯობესებდით ჩვენს პირად ცხოვრებასაც.

1935 წელს ამირჩიეს დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობის დელეგატად. მაგონდება, როგორ განვიცდიდი და მფელავდი, ამოდენა ნდობა რომ დავიმსახურე.

საქართველოდან ყრილობაზე სიტყვით გრი კაცი უნდა გამოსულიყო. დელეგაციამ ეს დიდი პატივი მე მომანდო. გამოვედი სიტყვით და საქართველოს დელეგაციის სახელით შევიტანე 13 წინადადება. ყველა მათგანმა სათანადო ადგილი ჰპოვა წესდებაში.

ყრილობაზე საქართველოს დელეგაციამ მოიალაპარაკა სურათი გადაგვეღო პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად. აქაც მე მხვდა ბედნიერება დელეგაციის სახელით მეთხოვნა მათთან სურათის გადაღება. ყველა სიამოვნებით დაგვეთანხმა.

მოსკოვიდან დიდი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი. აღფრთოვანებული ვიყავი, რომ ასეთი დაფასება მივიღე უბრალო ოჯახიდან გამოსულმა ქალმა, და ახალი ენერგიით შევუდექი მუშაობას. ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, ყოველთვის მოწინავე იყო. 1938 წელს საშუალოდ ჰექტარზე 600 ცენტნერი ჭარხლის მოსავალი მივიღეთ და მთავრობის მაღალი ჯილდო დავიმსახურეთ.

და აი ახლაც საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობის მონაწილე ვარ. იქნებ ეს მოხუცებულობის ბრალია, არ ვიცი, ახლაც ისე ვდელავ, როგორც მაშინ — მოსკოვში ყრილობის წინ ვდელავდი.

— მეც 1935 წელს დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობის დელეგატი ვიყავი, — ჩამოართვა სიტყვა ვეტერანმა კოლმეურნემ დავით მანგოშვილმა, — წილად მხვდა ბედნიერება ყრილობას ავერჩიე სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების შემსწორებელი კომისიის წევრად.

რამდენიმე დღეს საფუძვლიანად განვიხილავდით თვითეულ პუნქტს. კომისიის წევრები სხვადასხვა წინადადებას აყენებდნენ. ერთმა დელეგატმა დააყენა საკითხი, რომ გლეხს საკარმიდამო ნაკვეთად ჰქონოდა 25 მეასედი მიწა, მეორე ამბობდა მიწასთან ერთად გლეხს ჰყოლოდა ოთხი ძროხა, ამდენივე ცხენი, 25 ცხვარი. მახსოვს მაშინ ერთ საკითხზე — კერძოდ იმის შესახებ, თუ კოლმეურნეს რამდენი სული პირუტყვი უნდა ჰყოლოდა, დიდი მსჯელობა შეიქნა. ბოლოს შევთანხმდით ეს საკითხი კოლმეურნეობებს საერთო კრებებზე თვითონ გადაეწყვიტათ.

ყრილობის დელეგატები მწერალმა მაქსიმ გორკიმ მიგვიწვია. ბევრი გველაპარაკა, ახსნა-განმარტებები მოგვცა. გვითხრა, თქვენ სოფლის მოწინავე ადამიანები ხართ, დიდი საქმე გაგალიათო. იცოდეთ, ჩვენ მტრებიც გვყავს და ისინი რომ დავამარცხოთ, ამისათვის საჭიროა კარგად ვიმუშაოთო.

ხურათზე: ქ. სანაია, შ. ეცადაშვილი და გ. ბელაშვილი.

ძალიან გულთბილი და მარად დაუვიწყარი შეხვედრა იყო.

დავბრუნდით საქართველოში, ახალი ძალითა და ენერგიით შევუდექით მუშაობას..

მაშინ ძალიან განვიცდიდით კადრების ნაკლებობას. ახლა კი სულ სხვა სურათია. ჩვენი ოთხი სოფელი შეერთდა. კოლმეურნეობა გამსხვილდა და 25 ტრაქტორი გვყავს. გვაქვს კლუბი, კინოთეატრი, გვემსახურება ორი აბანო, ავადმყოფთა სამზალო ხელოვნების სამსართულიანი შენობა. კოლმეურნეობა მძლავრი და შეძლებული გახდა.

ახალი სახელები

რობერტ სოფიო ბაზანდარაშვილმა და კობა ჩოხელმა მოგვახსენეს, — საუბარში ჩაერია მახარაძის რაიონის ნატაციების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბეჟი ყიფლიძე, — ჩვენი კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე გიორგი ტაკიძე მონაწილეობდა დამკვრელ კოლმეურნეთა I საკავშირო ყრილობის მუშაობაში. სხდომის თავმჯდომარემ ამხანაგმა მ. ი. კალინინმა სიტყვა მისცა ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. მოგვიყვან შედარებებს: ყრილობაზე გ. ტაკიძემ განაცხადა, რომ 1933 წელს საქართველოში მოქაყვდათ 2 მილიონ 12 ათასი კილოგრამი ჩაი. წელს მარტო ჩვენმა კოლმეურნეობამ მოკრიფა 3 მილიონ 212 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ე. ი. იმაზე მეტი, რაც მაშინ მთელ საქართველოში იკრიფებოდა. 1933 წელს ხატანების კოლმეურნეობას მოუკრეფია 138 ტონა ჩაის ფოთოლი, ახლა მარტო სოციალისტური შრომის გმირის დარეჯან ტაკიძის ბრიგადა ერთ სეზონში კრეფს 158 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. პირადად მას კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდში სულ მოკრეფილი აქვს 200 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. იმ პერიოდთან შედარებით კოლმეურნეობაში 20-ჯერ გადიდდა ჩაის მოსავლიანობა, 40-ჯერ — ტუნგოსი. მაშინ გ. ტაკიძეს უთქვამს, კოლმეურნეობაში 36 ცხენი გვყავსო. ჩვენ ახლა 36 ტრაქტორი გვაქვს. ამხანაგებმა აქ თქვეს, როცა კოლმეურნეობას ვაყალიბებდით, ოქმის დამწერი არ გვყავდაო. ჩვენ ახლა შეფასებინავი კადრები გვყავს, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი და საშუალო განათლება, გვყავს საამაყო ახალგაზრდობა. ისინი კოლმეურნეობაშიც შრომობენ და დაუსწრებლად უმაღლეს განათლებასაც წარმატებით ეუფლებიან.

ნაყოფიერმა შრომამ და სწავლამ ახალი ადამიანები, ახალი სახელები წარმოშვა.

— ახლა, როცა ვაჯამებთ საკოლმეურნეო ცხოვრების განვლილ შედეგებს, — ასე დაიწყო საუბარი საკოლმეურნეო მეცხებლობის ერთ-ერთმა თვალსაჩინო წარმომადგენელმა სოციალისტური შრომის გმირმა, ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნესტორ მამაიაშვილმა, — სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში შეგვაქვს ცხოვრებით ნაკარნახევი ცვლილებები, ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ ჩვენი სოფლის მთელი აკვარგის მოწმე ვარ და სხვებთან ერთად ჩემს ძალასა და ენერგიას ვახმარდი მის წინსვლასა და აყვავებას.

ბევრ ციფრს არ მოვიყვან იმის დასადასტურებლად, თუ რანი ვიყავით და რანი ვართ დღეს. გასულ წელს თვითეული კაცდღის ღირებულებამ ჩვენს კოლმეურნეობაში 10 მანეთი და 11 კაპიკი შეადგინა. მარტო წელს სახელმწიფოს მივყიდეთ 5. 180 ტონა მარცვლეული, 1.834 ტონა მზესუმზირა, 3.450 ტონა ყურძენი, 640 ტონა ხორცი, 2.300 ტონა რძე, 1.300.000 ცალი კვერცხი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, რითაც პირნათლად შევასრულეთ ვ. ი. ლენინის დანაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი.

საკოლმეურნეო წარმოების განუხრელმა აღმავლობამ, შრომის ნაყოფიერებისა და შრომის ანაზღაურების ზრდამ საკუთარ სახე ჩვენს სოფელს. ის ახლა ქალაქს უფრო ჰგავს. სოფელს არ აკლია არც ერთი თანამედროვე სიკეთე: კეთილმოწყობილი გზები, წყალი, სინათლე, ტელევიზორი, გაზიფიცირება. თითქმის ყველა ოჯახს აქვს 4 და ნოთახიანი, ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები და კეთილმოწყობილი კარმიდამო.

ყოველივე ეს მიღწეულია ხალხის თავდადებული შრომით, პარტიისა და მთავრობის უანგარო დახმარებითა და მხარდაჭერით.

ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა გმირული შრომა არაერთხელ აღინიშნა პარტიისა და მთავრობის ჯილდოთი. 1957 წლის მაჩვენებლებისათვის კოლმეურნეობას გადაეცა ლენინის ორდენი, ხოლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე გადმოვეცეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშა. 1958 წლის მაჩვენებლებისათვის კოლმეურნეობამ კვლავ დაიმსახურა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ხარისხის ფულადი პრემია.

როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებამ, კოლმეურნეობის მრავალდარგობრივმა განვითარებამ ძირითადად უზრუნველყო კოლმეურნეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე. ამიტომ ჩვენი კოლმეურნენი უფრო მეტ ინტერესს იჩენენ საზოგადოებრივი მეურნეობისადმი, ვიდრე პირადი მეურნეობისადმი. მაგალითად, იმის გამო, რომ ჩვენს კოლმეურნეებს ხელსაყრელ ფასებში ეძლევათ მეცხოველეობის პროდუქტები, თითქმის ყველამ ხელი აიღო პირად მეურნეობაში ძროხის შენახვაზე, ბევრმა თავისი თხოვნით შეამცირა საკარმიდამო ნაკვეთი, ე. ი. საზოგადოებრივი მეურნეობის უპირატესი განვითარება, საკოლმეურნეო წარმოების სრულყოფა თვითონ არეგულირებს ამ საკითხს. იქნებ ეს ჯერჯერობით ყველგან შესაძლებელი არ იყოს.

— ადრე მანქანა-ტრაქტორთა სადგურში ვმუშაობდი, — თქვა სოციალისტური შრომის გმირმა ბ. ბუკრეიშვილმა, — მაშინ მხოლოდ 20 ტრაქტორით ვამუშავებდით მთელი რაიონის მიწას. როცა მანქანა-ტრაქტორთა სადგური გაუქმდა, დავიწყე კოლმეურნეობაში მუშაობა. ახლა მარტო ჩვენს კოლმეურნეობას რამდენიმე ათეული სხვადასხვა მარკის ტრაქტორი და ექვსი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო" ემსახურება. სოფელში შენდება 50-საწოლიანი საავადმყოფო, კლუბი, საშუალო სკოლა 250 მოსწავლისათვის. ყველაფერი ეს კოლმეურნეობის სახსრებით კეთდება.

როცა გული მღერის

საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობის დელეგატია სოციალისტური შრომის გმირი ალექსანდრა ნასყვალაძე. იგი აქტიურად ჩაება კოლმეურნე ვეტერანთა საუბარში. თქვენი სახელოვანი შრომისა და ბრძოლის ამაღელვებელ მოგონებათა შემდეგ, მე რით გაგაკვირვოთ, — თქვა მან... მაგრამ, როცა თავისი მცირე დროის, მაგრამ დიდი მოვლენებით სავსე ცხოვრებასა და შრომას შეეხო, მეტად საინტერესო სურათი გადაგვიშალა. კ. ნაცვალაძე საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე 1958 წელს მივიდა კოლმეურნეობაში სამუშაოდ.

— ჩამოვაყალიბე კომკავშირული რგოლი, — თქვა მან, — რომლის ხელმძღვანელი ფლების მანძილზე მე ვიყავი. ჩვენი რგოლი შესანიშნავად მუშაობდა. ყოველწლიურად ჩაის უხვ მოსავალს ვიღებდით. ჩვენი შრომა დიდად დაფასდა და მომენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება. კოლმეურნეობაში შრომასთან ერთად დაუსწრებლად ვსწავლობდი უმაღლეს სასწავლებელში. იგი წარმატებით დავამთავრე და ახლა აგრონომად ვმუშაობ.

მარად დაუვიწყარია ჩემთვის ის დღეები, როცა მოსკოვში სკკპ XXIII ყრილობას ვესწრებოდი, როგორც დელეგატი. აქ სახელოვანი ვეტერანი კოლმეურნეები იხსენებდნენ იმ ამაღელვებელ დღეებს, როცა ისინი კოლმეურნეთა II საკავშირო ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ. ჩემთვისაც, ახალგაზრდა კოლმეურნისათვის, ასევე დაუვიწყარია XXIII ისტორიული ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მიღება და ის სურათი, რომელიც ყრილობის დელეგატებმა გადაიღეთ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად.

— მე ვმუშაობ კოლმეურნეობაში, რომელიც ჩამოაყალიბა კობა ჩოხელმა, — თქვა არსენ კობაიძემ, — ჩვენ ისეთი გზა განვლეთ და ისე სწრაფად მივდიოთ წინ, რომ თითქოს თვითმფრინავზე ჯდე და ისე მიქროდე. ახლა ჩვენს კოლმეურნეობას აქვს 200-ზე მეტი სხვადასხვა მარკის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანა. მათ შორის 60 ტრაქტორი, 73 მსუბუქი და სატვირთო ავტომობილი. 6.666 ჰექტარი სახნავი ფართობი. აქედან 360 ჰექტარზე ვენახია გაშენებული, გვყავს 13 ათასი სული ცხვარი და სხვა პირუტყვი.

სოფელში მოზარდ თაობას ემსახურება სამი საშუალო სკოლა. გვაქვს 5 ბიბლიოთეკა, 50-საწოლიანი საავადმყოფო, გამოვიყვანეთ შესანიშნავი სასმელი წყალი. კობა ჩოხელმა ბევრი რამ გააკეთა ჩვენი კოლმეურნეობისათვის. იგი ითვლება ჩვენი კოლმეურნეობის გამგეობის საპატიო წევრად. ეხმარება კრებებს, გვეხმარება მუშაობაში. მისი მუშაობის ტრადიციებზე იზრდებიან ჩვენი

მოგესალმებით!

ჩვენი მიწის დოვლათისა და ბარაქის შემქმნელებს, ჩვენი სოფლის სახახელო ადამიანებს ქართული მწერლობა ყოველთვის განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა. ის ადამიანები, რომლებიც ახლა კოლმეურნეთა ყრილობაზე შეიკრიბნენ, სახელს უთქვამენ ქართველი ხალხის შრომისმოყვარეობას, მის მკლავმოუღლელობასა და ვაჟკაცობას.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქართულმა სოფელმა სრულიად იცვალა სახე, გარდაიქმნა და გამშვენიერდა. დღევანდელი საკოლმეურნეო სოფელი ამაყობს არა მარტო უხვი მოსავლის ოსტატებით, რომლებიც მინდვრებსა და ზვრებში ტრიალებენ, არამედ იმ შესანიშნავი ინტელიგენციითაც, რომელიც სოფლად მოღვაწეობს და რომელმაც აამაღლა ჩვენი სოფლის კულტურული დონე. ქართული მწერლობა ყოველთვის იჩენდა განსაკუთრებულ ინტერესს ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის მარჩენალის, ქართველი გლეხობის მიმართ. მონობის წინაალმდეგ ამხედრებული უმა გლეხის, მეომრის არაერთი შესანიშნავი სახე შეუქმნია ქართულ კლასიკურ მწერლობას.

დღეს, როცა კოლმეურნე თვითონ არის სოფლის ბატონ-პატრონი, ჩვენი მწერლობა ცდილობს ღირსეულად ასახოს საკოლმეურნეო შრომის ფერხულში ჩაბმული მშრომელი კაცის ცხოვრება. ქართულმა მწერლობამ, ისევე როგორც მთელმა საბჭოთა მწერლობამ არა ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები შექმნა საკოლმეურნეო თემაზე. ამ ნაწარმოებთა გმირები არიან მოწინავე მშრომელები, რომლებიც მშვიდობიან პირობებში თუ სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდნენ, იღვწოდნენ და დღესაც იღწვიან სამშობლოს ბედნიერებისათვის, ჩვენი ხალხის ნათელი მომავლისათვის. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ის, რაც ქართულ მწერლობას შეუქმნია სოციალისტური სოფლის თემაზე, ცოტაა, ზღვაში წვეთია იმ დიდ როლთან შედარებით, რომელიც კოლმეურნეობას, მოწინავე კოლმეურნეებს ეკუთვნის ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

ქართული მწერლობა, რომელიც ძლიერი ფესვებით არის დაკავშირებული ჩვენს სოფელთან, მის საუკეთესო ადამიანებთან, უყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ შექმნას კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წიგნები, რომლებიც ღირსეულად ასახავენ საქართველოს სოფლის ახალ სოციალისტურ ყოფას.

ქართველი მწერლები სულითა და გულით მიესალმებიან საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობას და უსურვებენ წარმატებას მის მუშაობას, ხოლო ყრილობის ღირსეულ მონაწილეებს ახალ, დიდ გამარჯვებებს ჩვენი ხალხის სახახელოდ.

გრიგოლ აბაშიძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი.



ყრილობის დელეგატი

ყურძნის უხვი მოსავლით სახელი გაითქვა თერჯოლის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ლენინის ორდენოსანმა ვალერიან ნემსაძემ. ჰექტარზე 95 ცენტნერი ყურძენი მიიღო მისმა ბრიგადამ. აი მისი ნობათი, რომელიც მან საქართველოს კოლმეურნეთა მესამე ყრილობას მიუძღვნა. სურათზე: საქართველოს კოლმეურნეთა მესამე ყრილობის დელეგატი ვ. ნემსაძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მანქანა სოფელში მიდის

ნარკვევი

მართლ თბილისელს კი არა, ბევრ მის სტუმარს გაუგოთია ოცდაექვსი კომისრის სახელობის ღონიერი ქარხანა. ჩვენი ქალაქის რკინიგზის სადგურიდან, ტრამვაის ორიოდე გაჩერების შემდეგ ვაგონი მისი შესასვლელი ჭიშკრის პირდაპირ ჩერდება. ამას ბილეთის გამყიდველი ქალები ასე ამცნობენ ხოლმე მგზავრებს, გაჩერება ოცდაექვსი კომისარიო.

ის შთამომავლობიდან შთამომავლობაში ისაზრდოებს რამდენიმე ათას ოჯახს. მისი მრავალრიცხოვანი კოლექტივის მოღვაწეობა მაგარი, მარად უწყვეტი ფოლადის ძაფებით დაკავშირებულია მიწასთან, მებრძოლ ძმებთან სოფლად.

ამ ქარხნის მშვენიერი, სუფთა, სულ ხიკელით გაკრიალებულ მანქანებს და ხელსაწყოებს ყველაზე მეტად იცობენ და მეგობრობენ ჩვენი მეკენაფეები.

ოცდაექვსკომისრელი რკინის ქართველი ოსტატები სწორუპოვარი ხელოვნებით ქმნიან ყურძნის გადამმუშავებელ მანქანებს. ყოველ მათგანს თუნდაც სამოცი ტონა ყურძენი შეუძლია რაღაც რამდენიმე წუთში გადაამუშაოს, მტევანი ტაბილად და ჭაჭად გააცალკეოს.

არ გამიჯავრდეთ! ახლა ქარხანაში, მალაკნის ბაზრის მეზობლად, ნაძალადევის მხარეზე რომ არის, შემოდგომაა. ქარხანა და შემოდგომაო? ამაზე არავის გაეცინოს. აბა ერთი მიბრძანდით, ინახულეთ ის ამ დღეებში — ოქტომბრის დამლეგს.

რკინის მოხდენილ ღობე-ჭიშკარს იქით, რამდენიმე ვეებერთელა საამქრო, თვითეულ მათგანში რამდენიმე ასეული ხელსწრაფი ოსტატი რომ მუშაობს, გორაკის ფერდოზე ბზკრიელად შეხიზნულა. თუ დიდ ჭიშკრში არ შეხვალო, ქუჩიდან მათი დანახვა ადვილი არ არის. საამქროს „ზოები და ბალი სახურავები ვეებერთელა, ფოთლოვანი ხეების ტოტებქვეშ შეფარებულან. საამქროების „ბრშემო ზაფხულობით გრილა, ზამთრობით კი, ხეთა ტოტების ბორკლებს ქვეშ მარად სიმყუდროვეა.

ოღონდ შემოდგომაზე სამხრეთის ბუნებას რა გაეწყობა! ყველა დაუდგა, ხეს სიშიშვლის დღეები დასდგა თავს. შეყვითლებული ფოთლები ნიავს ასფალტზე მოუფრიალებია. მათ ფეხებში შრამაშრუმი გაჰქვთ. და მოდით ვამოვტყდეთ, სანამ ქარხნის მოღვაწეებს არ გამოლაპარაკებიხართ, სანამ საშრომლად გისაზავენ მანქანებს არ ინახულებთ, გულში კეშინი, შემოდგომური მოწყენილობა და გულისწყვეტა დაგეუფლებათ. მაგრამ აი შეხვედით ქარხანაში, ინახულეთ მისი მთავარი ინჟინერი დავით გრიგოლაშვილი, და მაშინვე განწყობილება სიხარულისაკენ შემოგტრიალდებათ, ისევ საგაზაფხულო გუნებაზე მოხვალთ. მექანიკაში განსწავლული ეს ინჟინერი, თავის თავზე ლაპარაკი რომ ერიდება, გეტყვით:

— ჩვენი ყურძნის გადამმუშავებელი მანქანები გინდათ ნახოთ? მორძანდით, ინებეთ. ჩვენ მათ არ გეგონოთ მარტო საქართველოსათვის ვამზადებდეთ. ჩვენი ქარხნიდან ეს ძალიმი ქართული მანქანები ყველგან ბევრი მიაქვთ.

ილია დომენტის-ძე ჩაჩავა თბილისში დავიჟაცდა. უმაღლესი განათლება მიიღო, ოცდაექვსი კომისრის ქარხანაში ოსტატად დაიწყო მუშაობა. მისი საამქრო ამზადებდა ხელსაწყოებს და „მზომ ილარაღებს". ერთხელ კარგა სასტიკად ხელიც შეეშალა. ომში გაიწვიეს. უკან დაბრუნდა სამსალაც ბევრი სვა და მტრის დევნის და დაჩოქების ვაჟკაცური ენინც მოიკლა. დიახ, აგემა მტერს ქართველი ხელოსნის, ინჟინრის და ვაბედული მეომრის სუსხი.

მისი თანამშრომლები ჩურჩულებენ, ილია ჩაჩავა ომში „კატუშებზე" იყო. ამას მისი ამხანაგები იმით ადასტურებენ, რომ სწორედ ილია ჩაჩავას საამქროში შენდება ან მისი საამქრო უშვებს სტყვის საწინააღმდეგო დანადგარს და ჭურვებს. როცა საამქროში შედიხართ, ამ დანადგარის ბატარეის და სიგარისებური ყუმბარებით სავსე თაროს დანახავთ. დანადგარი როგორც კბილი კბილს ისე ჰგავს სახელგანთქმულ ერთ იარაღს. ჭურვის გასარეკი თორმეტი ღარული აქვს და უნებურად წამოიძახებ, მტრისას, აი კატუშებიო. ეს წამოძახილი ხუმრობაა. მაგრამ დანადგარი მართლა ძლიერ ჰგავს „კატუშებს", რომლებიც ჩვენ საბჭოთა ჯარების ალღუმებზე ხშირად გვინახავს.

საიარაღო ექსპერიმენტულ საამქროში შედის პირველად ყოველი ნახაზი, რომელსაც კი ქარხანა მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის დარგში ეს „გასათხოვი" ქალიო. ეს სიტყვა სიცილით აკი თქვენ ბრძანეთ ქარხნის კოლექტივში. კიდევ მითხრეს, რომ ძალიან გიყვართ, როცა სხვადასხვა ქალაქიდან მოსულ მანქანის ნაწილებს, საამქროში შემოიტანენ თუ არა, მაშინვე შეისწავლით ხოლმე, — რომელი ქარხანა უკეთ ასრულებს შეკვეთას. თქვენ თურმე დიდ ყურადღებას აქცევთ ნაწილების გარეგნულ მშვენებას, მანქანის ესთეტიკურ მხარეს რომ ეძახიან და მათი სიზუსტეც არ გიპარებათ.

არ ვიცი, პარტიული ხართ თუ კომკავშირელი: მე ამაზე ვერაფერი გავუბედე, უფრო მეუხერხულა მეკითხნა რამე თქვენი პარტბიუროს მდივნის ჯუმბერ ჯაფარიძესათვის. არა, არა, აბა რა გითხრა საბოლოოდ! აი დადიხარ საამქროში, თვთრგვრემანი, კოხტა, საამოდ მშვიდხმიანი ქალიშვილი. ებრძვი შენი ნაზი ხელებით რკინას. მაგ ამრავლოს შენისთანა ქალები, რომლებსაც არც მშვენება აკლიათ, არც გარჯა, არც ქალური ხიბლი და არც მისწრაფება სამშობლოს ქალის შესაფერისად ემსახუროს.

და, ბოლოს, დიახ მკითხველო, შემოდგომაა ჩვენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ქარხანაში. ამისი მოსმენა ნურავის ეუხერხულება. იმ ხეებს, რომლებსაც ახლა ფოთლები სცვივა, რტოებზე რჩებათ გაზაფხულზე აღორძინების კვირტები, შემოდგომის წვიმებით განბანილნი, ოქროსებრ ყვითლად რომ აბრწყინდებიან ხოლმე.

ღირს, ღირს ამისთანა სამშობლო გქონდეს კაცს და ნატრობდე დიდიხნის სიცოცხლეს. იქ, 26 კომისრის ქარხანაში, მადა გაგეხსნებათ ნახოთ ერთი მანქანა, რომელიც საქართველომ მსოფლიო სოფლის მეურნეობას მისცა. ეს გახლავთ ჩაის საკრეფი მანქანა.

ილია ჩაჩავამ, ივანე ოქრუაშვილმა, ვაჟა კომახიძემ, ნელიმ, ჯემალმა, მთავარმა ინჟინერმა დავით გრიგოლაშვილმა იციან, ეს მანქანა, რომლის სრულყოფას მარტო ქართველი ჩაის მეურნეები კი არა, ცეილონის, ჰიაეთის და ინდოეთის პლანტატორებიც დიდი მოთმინებით ელიან, თანდათან უმჯობესდება. მაგრამ ის ჯერ ლილოში მზადდება საგანგებო საამქროში. ადვილი შესაძლებელია ოდესმე მოხვდეს ოქრუაშვილის „საამწყობოში" სერიულად დასამზადებლად. როგორც თქვეს, ეს ნელი თავბერიძის სურვილიც ყოფილა და გურული ქალისაგან გასაოცარი არ არის. ქალიშვილის თმილ, ნაზ იდეებიან გულში, რა სიკეთე არ დაისახება! ქარხნის ისტორია ხომ არ გინდათ გაიგოთ? ინებეთ! ოციან წლებში ის ერთი პატარა ავტოსახელოსნო იყო ქალაქის გარეთ. ახლა გიგანტია ისევ იმ ადგილას თბილისის შუაგულში...

ბორის ჩხეიძე.

ეჯით გაგვიშუქე

მზით გაგვიშუქე სამშობლო
ლენინო, ხალხთა ბელადო,
შენი დარგული ნაყოფი
აყვავდა მინდორ-ველადო.

კოლექტივი და კომუნა
შეგვიქმენ შრომის კერადო,
მტკიცე ძმობა და ერთობა
ხალხს მიეც საფუძველადო.

მტერი ვერ ბედავს წამოსვლას
ჩვენს თავზე წასასვლელადო,
შენი აზრებით ნაწრთობი
ჩვენ პარტია გვყავს მცველადო.

შენს ბრძნულ ანდერძებს
ასრულებს
მტკიცედ და განუხრელადო,
ყოფილა, არის, იქნება
შენს აზრთან განუყრელადო,

თუ მტერმა რამე ინება
გეგმების ჩასაშლელადო,
ჩვენი ხალხი და პარტია
პასუხს გასცემენ ხელადო.

გ. ბექაური.
გუდამაყარი,
დუშეთის რაიონი.

ეჭყუეესის სიმღერა

მე ჩემს სამშობლოს
ვუმღერი,
ირემი მთაში მყვირალი,
გლეხს მომცა ძალაუფლება,
აღარ ვარ გაუცინარი.
რომ მახსენდება წარსული
ჩემს ტანჯვის დღეებს
ვინანი,
არავის ვებრალებოდი
ბატონის მონა, მტირალი.
მე ვენაცვალე ამ დროსა,
რომ გამაღვიძა მძინარი,
შიშველ-ტიტველი, საწყალი,
უსწავლი, უცოდინარი...
ვინც მე მშვიდობას
დამირღვევს,
მას არ ვეგონო მძინარი,
სწორედ იმისთვის ვიქნები
მე მტერი დაუძინარი.

კ. ჩოხელი.
დუშეთის რაიონის გუდამაყრის კოლმეურნეობის წევრი.

თავმჯდომარის ავტორიტეტი

ნვიმა თანდათან ძლიერდებოდა. უფრო ჩამობნელდა.

მოდი და ასეთ ამინდში შეასრულე ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულება, — ფიქრობდა ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამჯდომარე ანთიმოზ როგავა. თან ბუნების ჭირვეულობამ არ უნდა შეგვაშინოსო, ასეთ ამინდშიც კარგად უნდა ვიმუშაოთო — ამხნევებდა თავისთავს.

მართლაც, ახალსოფლის კოლმეურნეობის პლანტაციებში წვიმიან ამინდშიც ზღვა ხალხი მუშაობს. თავმჯდომარეც მათთან არის.

...ოქტომბერია. კანტორაში მოდიან ბრიგადირები, მეჩაიეები, მათ ხელთ ბევრ გეგმები, ქვითრები, ცალკე ჩანაწერები. ბუღალტერთან აზუსტებენ წელს სეზონში ფოთლის კრეფის მაჩვენებლებს, დახარჯული კაცდღეების რაოდენობას...

ბუღალტერი ა. ოკუჯავა ციფრ 729.179-ზე შეჩერდა.

— რას ნიშნავს ეს ციფრი? — შეეკითხეთ.

— ეს წელს სეზონში მოკრეფილი ფოთლიდან მიღებული ფულადი შემოსავალია, — თქვა მან. — შარშან ამ დროისათვის კოლმეურნეობას მხოლოდ 400.000 მანეთამდე ჰქონდა, ესე იგი წელს 329.178 მანეთით მეტი შემოსავალია. შარშანაც იგივე პლანტაციები იყო, მაგრამ კოლმეურნეობა რეზერვებს ვერ იყენებდა. აი რაღაც თერმეტი თვეა, რაც კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა შეიცვალა, და უკვე სასახელო მაჩვენებლები გვაქვს. წელს მოიკრიფა 920 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, შარშან ამ დროისათვის მიღებული იყო მხოლოდ 500 ტონაზე ცოტა მეტი.

157,5 ტონა ჩაის ფოთლის მოსავალი მიიღო წელს იმ ბრიგადამ, რომელსაც რესპუბლიკაში ცნობილი მეჩაიე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი თამარ ყუფუნია ხელმძღვანელობს. ეს ციფრი ზღვიერ გეგმასაც და ვალდებულებასაც დიდად სჭარბობს.

შარშან ახალსოფლელებმა მეიღეს 880 ცენტნერი სიმინდი მარცვლად, წელს კი 6.800 ცენტნერზე მეტი.

— ჩვენს კოლმეურნეობაში მეცხოველეობაშიც სასახელო მაჩვენებლებია მოპოვებული, ერთ ძროხაზე მიღებულია 2.274 ლიტრი რძე. სახელმწიფოსათვის მარტო მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვით კოლმეურნეობამ უკვე 156.600 მანეთი შემოსავალი მიიღო. შარშან მისი ნახევარი არ იყო. — ამბობს მთავარი აგრონომი ნ. ნადარეიშვილი.

კოლმეურნეობაში ყურადღება ექცევა მოსავლის ხარისხს, თვითღირებულებას. მაგალითად, შარშან კილოგრამი ჩაის ფოთლის მიღება დაუჯდათ 52 კაპიკი, წელს — მხოლოდ 44 კაპიკი.

ა. როგავა ადრე წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ახალსოფლის კოლმეურნეობას. მაშინ იგი რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავე არტელი იყო. და აი ახალსოფლელებმა კვლავ თავიანთი სოფლის მკვიდრი ა. როგავა მოითხოვეს. პარტიის ზუგდიდის რაიონულმა კომიტეტმა სოფლის მშრომელთა აზრს ანგარიში გაუწია და ახალსოფელში ა. როგავას თავმჯდომარედ არჩევაზე რეკომენდაცია მისცა. იგი შარშან დეკემბერში ერთხმად აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

მას შემდეგ თერმეტ თვეზე ცოტა მეტია გასული, და კოლმეურნეობაში შარშანდელთან შედარებით 331.866 მანეთით მეტი ფულადი შემოსავალი მიიღეს. კოლმეურნეობებს თავიანთ ნამუშევარზე შარშანდელთან შედარებით 180.000 მანეთით მეტი ერიცხა.

— როგორ მიაღწიეთ ასეთ წარმატებას, ისიც ასე მოკლე დროში? — შევეკითხეთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

მან შემოგვთავაზა მინდორი და ფერმები დაგვეთვალიერებინა.

სოფლის შარას გავყევით, ვერსად მტკავლ მიწასაც ვერ ნახავთ უნაყოფოს. ბუსაბირებზე, სადაც თავისუფალი ადგილებია, ხეხილის ნარგავებია. ერთ-ერთ სიმინდის ნათესთან შევჩერდით.

ეს მიწები წლების განმავლობაში გამოუყენებელი იყო. წელს ამის შესახებ ვისაუბრეთ გამგეობაში. საკითხი კოლმეურნეობის საერთო კრებაზე დავაყენეთ. ყველამ მხარი დაგვიჭირა, და 80 ჰექტარი ყამირი მიწა ავითვისეთ. წელს ამ ნიადაგზე 2.400 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მივიღეთ და პირუტყვის საკვებად ჩალაც ბლომად გვექნება.

შემდეგ დავთვალიერეთ მდინარე ჯუმის ნაპირები. ეს მდინარე უსწორმასწოროდ მიდიოდა და რამდენიმე ჰექტარი მიწა იკარგებოდა, კოლმეურნეობის საერთო კრების გადაწყვეტილებით გასწორდა მდინარის ნაპირები. წყალს სწორი მიმართულება მიეცა, ნიადაგი გაამასიანეს და ამით 50 ჰექტარი მიწა უხვი მოსავლის სამსახურში ჩაყენეს.

— ჩვენი მთავარი საზრუნავია, — ამბობს ა. როგავა, — უხვი მოსავლის მიღებასთან ერთად ულამაზესი, უმდიდრესი და თანამედროვე გავხადოთ სოფელი, დავამშვენოთ იგი ქალაქს.

გამგეობის მზრუნველობა მთელ სოფელს უკვე დაჩნევია. ელექტრობისა და რადიოს ხაზებით გადაქსელილია შარა და შუკები. ბევრგან აღმართულია ტელევიზორის ანტენები.

მართლაც, სოფელში ბევრი სიახლეა. 4 ადგილას ელექტროწისქვილია. კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე მოითათბირეს და წისქვილით სარგებლობის საკითხი საერთო კრებაზე გაიტანეს. გადაწყდა, კოლმეურნეობა სოფლის წისქვილით ისარგებლონ უფასოდ.

აი რა შეუძლია მონდომებას, თავმჯდომარის ავტორიტეტს. სოფელში მოხუცი თუ ახალგაზრდა — ყველა მონდომებით მუშაობს ხვალისა და ბარაქის შესაქმნელად. კოლმეურნეობა შორის 44 სოციალისტური შრომის გმირია, 70 ლენინის ორდენოსანია. ათობით კოლმეურნეს მეკრდე უმშვენებს მთავრობის სხვადასხვა ჯილდო.

სოფლის ცენტრში აღმართულია ორგზის სოციალისტური შრომის გმირების — ანთიმოზ როგავასა და თამარ ყუფუნიას ბიუსტები.

მოსაღამოვდა. მთელი დღის მუშაობით დაღლილ კოლმეურნეები მიდიან და მიიმეორიან. სახე უღიმით ახალსოფლელებს, სხიჭრამდგარი თვალებით გასცქერიან საკოლმეურნეო მინდვრებს, სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი ახალი შრომითი მიღწევებისა და სამშობლოსადმი უანგარო სამსახურისაკენ უხმობს კოლმეურნეებს.

შ. ჯოჯუა,
„კომუნისტის" სპეც. კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლმეურნე დელეგატთა პარადი

საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობის მონაწილეებს

პროლოგი

მოგვიხაროდა, — მოვედით,
შენთან ვართ, დედაქალაქო,
ჩვენი ერის და კულტურის
შენ, უწმინდესო ალაგო.
მოგესალმებით გულთბილად
ქართველის დედას თუ მთაწმინდას,
შენა ხარ ჩვენი მშობელი,
ჩვენ სხვა მშობელი არ გვინდა.
ბევრჯერ გვინახავს მახპინძლის
ხიტკბო და გულკეთილობა,
ოცდათოთხმეტი წელია
არა გვქონია ყრილობა.
მოვედით, მოვისაუბროთ,
ვიცით, გახარებთ მიღწევა,
სასახელოა ყველასთვის
შემდეგ მოსკოვში მაწვევა.
ლენინის დროშას ვუმღეროთ,
ლენინის დროშა გვფარავდეს,
ღმერთმა გვიცოცხლოს მოყვარე,
და მტერი დაპატარავდეს.
მოგვიხაროდა, მოვედით,
შენთან ვართ დედაქალაქო,
მშობლიურო და უტკბესო
ცა-ფირუზ-ზურმუხტ ალაგო!

ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

გადასძახა მტრედმა — მტრედს,
მთებმა — მთებს, ქედმა — ქედს,
ქუჩამ — ქუჩას,
ვთვალე, ვთვალე, ვერ დავთვალე,
სტუმრებს განა ბოლო უჩანს?!
ამათ ერთად ნახვას რა სჯობს,
— ვინც მოვიდა,
გაუმარჯოს!
— ძვირფას სტუმრებს
გაუმარჯოს!
და ვინც ასე გაისარჯოს
ყველას, ყველას
გაუმარჯოს!

ქარადი

მარცვლეული მოახათებს
თითქოს იყოს ეს ზღაპარი,
ორი ნიკო მოაბიჯებს
ჩოხელი ბუღვთ წინაპარი,
ვინც კომუნას მხარი მისცა,
ახლაც ბრწყინავს ვით ლამპარი.
თითქოს იჯდეს კომბაინზე,
ეს ვინ მოდის!
— კობაიძე! —
ვინც ხორბალის დადგა გორა
შირაქით თუ ალაზანით,
დგას ბედელი გაჭედილი
ვით მშვიდობის ზარბაზანი.

• • •

მახარაძეს, ზუგდიდს, გალს,
ჩაი მოაქვს ქაცს თუ ქალს.
— ეს ვინ მოდის?
უუფუნია,
ტაკიძე და სხულოჩია,
მიხაკოც და ანთმოზიც
ჩაიშიდაც გულუხვია.
ნატანებს და მერიას
გიტარაზე მღერიან:

ჩაის ჭიქით ჩაიც სინჯეთ,
სურნელოვანს აბა რა სჯობს...
ჩაის კრეფის ოსტატებო,
თქვენს მარჯვენას გაუმარჯოს!

• • •

მამისაშვილს, მექვევრეშვილს
ქვევრი მოაქვთ დევნისხელა,
თან მღერიან შეწყობილად
„გურჯანელნოს", „დელი-დელას".
ბანი მითხარ ბანელებო
ხელპირდაუბანელებო!
ზესტაფონმა ბანი უთხრა:
გენაცვალე ვენახოო,
სეტყვის ღრუბელს დავეძებდე,
კახეთს ვერსად ვერ ვნახოო!

შემოდგომას ზეიმი აქვს,
ქარი ჭიშკარს აჭრიალებს,
იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ,
ყელი ჩაიმაჭრიანეთ!..

• • •

ვინ მოდიან?
მეხილენი,
ნაირ-ნაირ საკრავებით,
ეს ვინ მღერის, ვინ მოუძღვით!
ჩვენი გრიგოლ საგაევი:
ქართლს, ოსეთს და ახალციხეს
რა ხილი აქვს მადლიანი,
გორს — ატაში, გოგრის ხელა
ვაშლი, მსხალი თაფლიანი.

• • •

აჭარლები, აფხაზები
ოქროსფერი ციტრუსებით
დატვირთულნი მრდიან და მღერიან,
მათთან ერთად ამ ფერხულში,
სიყვარულში, სიბარულში
ახალგაზრდა კოლხელებიც ბევრია.

• • •

მებოსტნენი იმღეროდნენ:
გენაცვალე ამინდო,
არ მოგაკლებთ თბილისლებო
კომბოსტოს და პამიდორს!

დუშეთს, ყაზბეგს და თიანეთს
სუყველა იცნობთ ბარადა,
გადაქცეულან მინდვრები
ლუნლულა ცხვრისა ფარადა.

წინ ყარამანი მოუძღვის
მწყემსი, გაგაძე გვარადა.
ჩაჰბერა ძმობილ სალამურს,
აკვნესდა ტკბილსა ხმაზედა:

„ვხედავ მეცხვარეს
მალლა მთაზედა,
ცხვარიც მეტი ჰყავს
თავის თმაზედა".

ეპილოგი

ზეიმი აქვს შემოდგომას,
ქარი ჭიშკარს აჭრიალებს,
იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ
ყელი ჩაიმაჭრიანეთ.

შემოდგომის მზე იცინის,
ალერსიან თვალებს ნაბავს,
ყველას ვეტყვით, ოსტატებო,
თქვენი შრომის დიად ამბავს!

დღეს ქახური ეპჭარი

ცხარმ დღეებია ჩვენი ღვინის ქარხნებში. მიმდინარეობს ახალი ღვინის გადამუშავება, რომლითაც ახლა სავსეა ჩანები, ქვევრები, კასრები..

ღვინის ქარხნებმა უკვე გადამუშავეს 301 ათას ტონაზე მეტი ყურძენი.

ამ დღეებში ჩვენი კორესპონდენტი ს. კილაძე ეწვია გურჯაანის, წინანდლის, თელავის ღვინის ქარხნებს და ეს სურათები გადაიღო.

• • •

სურათებზე: (ზემოთ) რა ტკბილია კახური ჩურჩხელები; დუღს ახალი ქინძმარაული (შუაში); გურჯაანის ქარხნის ლაბორანტი ლ. ნიბლაძე ამოწმებს ტკბილის დუღილს. ქვემოთ — წინანდლის ღვინის ქარხანაში.

ᲔᲥᲕᲡᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲤᲘᲜᲘᲨᲐᲛᲓᲔ

ნ. ალექსანდრია — კ. ზვორიკინას პარტიას მეცამეტე ტურში თავისებური ელფერი ჰქონდა. კ. ზვორიკინამ შავებით სიცილიური დაცვას მიმართა. ეს შემთხვევითი როდია. მინსკელი მოჭადრაკის მწვრთნელმა, ცნობილმა გროსმაისტერმა ი. ბოლესლავსკიმ შარშან ბერლინში გამოსცა წიგნი „სიცილიური დაცვიდან კარო-კანამდე". ამდენად კ. ზვორიკინა ჩინებულად იცნობს ამ მწვავე დებიუტის ნიუანსებს. დასაწყისში შავებს კარგი პოზიცია ჰქონდათ მათ ზედმეტი პაიკი დარჩათ. მაშინ ნ. ალექსანდრიამ კიდევ ერთი მატერიალური მსხვერპლი გაიღო — დათმო მეორე პაიკიც და მკვეთრად გაამწვავა ბრძოლა. როგორც ყოველთვის, ნანამ ახლაც საუცხოოდ წარმართა იერიში. კ. ზვორიკინამ წასაგებ პოზიციაში გადადო პარტია.

შეფერხდა ნ. ალექსანდრიას მთავარი მეტოქე ე. რუბცოვა. ახალგაზრდა სოჭელმა პირველთანრიგოსანმა ო. პეტკომ ამ პარტიაში ისახელა თავი, შესწირა სამი (!) ფიგურა და ე. რუბცოვა აიძულა ყაიმზე დათანხმებოდა. საინტერესოა, რომ ეს რუბცოვას მესამე ყაიმია ზედიზედ.

წინ წაიწიეს დანარჩენმა პრეტენდენტებმა. ნ. კონოპლიოვამ მოუგო ბ. რანეკუს, ტ. ზატულოვსკაიამ დაამარცხა ბ. ვილერტე, ლ. სემიონოვამ — ო. ანდრეევა. ყაიმზე შეთანხმდნენ ვ. ბორისენკო და ო. იგნატიევა. დანარჩენი პარტიები გადადეს.

ᲑᲣᲨᲘᲜ დამთავრდა გადადებული პარტიები. ზვორიკინა თამაშის განუახლებლად დანებდა ალექსანდრიას. კაცკოვამ დაამარცხა შული. ხუგაშვილმა — ზვორიკინა. ყაიმზე შეთანხმდნენ ზატულოვსკაია-პეტკო და გოლოვეი-მუსლმოვა.

13 ტურის შემდეგ 11 ქულით პირველ ადგილზეა ნ. ალექსანდრია. 10 ქულა აქვს ე. რუბცოვას, 9,5 ქულა — ტ. ზატულოვსკაიასა და ნ. კონოპლიოვას.

გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ

სან-ხუანი. მსოფლიო ჩემპიონმა ჭადრაკში ბორის სპასკიმ გაიმარჯვა დიდ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც პუერტო-რიკოს დედაქალაქში დამთავრდა. იგი ჩემპიონისებურად გამოვიდა — რვა გამარჯვება, შვიდი ყაიმი და არც ერთი დამარცხება. საბოლოოდ სპასკიმ მოაგროვა 11,5 ქულა — ერთნახევარი ქულით მეტი, ვიდრე მისმა კონკურენტებმა.

ეს იყო პირველი ტურნირი, რომელშიც სპასკი მონაწილეობდა საჭადრაკო გვირგვინის მოპოვების შემდეგ, მანამდე მან მხოლოდ რაზდენიმე თავისებური შეხვედრა გამართა დანიელ გროსმაისტერ ბ. ლარსენთან და გამოვიდა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის გუნდების ტრადიციულ მატჩში. დასკვნით ტურში სპასკიმ 36-ე სვლაზე დაამარცხა პუერტორიკელი ანგელ ბერიოსი. მისმა ძირითადმა მეტოქეებმა კი შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს. ბრუნო პარმამ (იუგოსლავია) მშვიდობიანად დაამთავრა შეხვედრა იან-ჰეინ დონნერთან (ჰოლანდია), უოლტერ ბრაუნმა (ავსტრალია) — არტურ ბისჰაიერთან (ამერიკის შეერთებული შტატები). ლარსენმა კი კიდევ ერთი პარტია წააგო, მჯარად ლოტარ შმიდტთან (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

ბრაუნმა შეასრულა გროსმაისტერის ნორმა, ბისჰაიერმა კი დაადასტურა ეს წოდება (მას ტურნირებში არ უთამაშია უკვე ხუთი წელია).

აი სან-ხუანის შეჯიბრების, საბოლოო ცხრილი: სპასკი — 11,5, პარმა, ბრაუნი და ბისჰაიერი — 10-10, შმიდტი — 9,5, ლარსენი და დონნერი — 9-9, მატო დამიანოვიჩი (იუგოსლავია) და ხულიო ჯაპლანი (პუერტო-რიკო) — 8,5-8,5, ლუბომირ კავალეკი (ჩეხოსლოვაკია) — 8, ალბერიკ ო' ჯელი (ბელგია) და რობერტ ბირნი (ამერიკის შეერთებული შტატები) — 7,5-7,5, ბერიოსი — 5, არტურო კოლონი — 2,5, მიგელ კოლონი — 2, ფერნანდო მარტინესი (ეს უკანასკნელი ოთხი პუერტორიკოელია) — 1,5 ქულა.

საგულისხმოა, რომ ბრაუნი ტურნირის მონაწილე უკანასკნელ წამებში გახდა. მან დაიკავა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის რობერტ ფიშერის ადგილი, რომელიც სან-ხუანში არ ჩამოვიდა. (საკდესი).

ᲓᲘᲓᲘ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ ᲢᲐᲨᲙᲔᲜᲢᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები ტაშკენტში განაგრძობენ პაექრობას.

უკვე გამოვლინდნენ პირველი ნახევარფინალისტები. ესენი არიან სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონი ესტონელი ტ. კიეი და მოსკოველი ვ. ეგოროვი. სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა ვაჟთა შორის ა. მეტრეველმა დაამარცხა მოსკოველი ლუნინი და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც შეხვდება ვოლკოვს. ერთეულთა მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან აგრეთვე კოროტკოვი-პალმანი და სივოხინი-ლიხაჩოვი. ქალთა შორის საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლას განაგრძობენ ბაკშეევა, თუხარელი, მოროზოვა, ერემეევა, ისლანოვა, გაილე.

ᲙᲡᲙᲐᲠᲔᲖᲝᲒᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲝᲠᲙᲐᲛᲐ

● **მაგიდის ჩოგბურთელთა ევროპის ლიგის მორიგ გათამაშებაში წარმატებით აიღო სტარტი სსრ კავშირის გუნდმა, რომლის შემადგენლობაში არიან მოსკოველი ზ. რუდნოვა და ხ. გომოზკოვი და ბათუმელი ხ. სარხოიანი. ჩვენმა მაგიდის ჩოგბურთელებმა დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის ძლიერი გუნდი ანგარიშით 5:2.**

● **სსრ კავშირის** ჩემპიონმა ხელბურთში მოსკოვის „კუნცევოს" ვაჟთა გუნდმა, რომელიც ავსტრიაში გამოდიოდა, ხუთი შეხვედრა გამართა და ხუთივე მოიგო საერთო ანგარიშით 115:58.

● მსოფლიოს პირველობაზე ა. ანდრეიკოსა და ი. კუპერმანის მატჩ-რევანშის მე-18 პარტია ასუჯრედიან შაშში 30-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ანგარიშია 10,5:7,5 ა. ანდრეიკოს სასარგებლოდ.

● **ოლიმპიურმა** ორგზის ჩემპიონმა ძალოსნობაში იაპონელმა იოსინობუ მიაკემ (ქვემსუბუქი წონა) ნაგასაკში გამართულ შეჯიბრებაზე მსოფლიოს სამი ახალი რეკორდი დაამყარა — აიტაცა 125,5 კილოგრამი, აკრა 153 კილოგრამი და სამჭიდში მოაგროვა 400 კილოგრამი.

● **პამანაში მოკრივეთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე სსრ კავშირის გუნდმა 5 მედალი მოიპოვა. საბჭოთა მოკრივეებმა 12-დან 10 შეხვედრა მოიგეს. პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის ხვდა მოსკოველ გ. დობროხოტოვს.**

● **ᲕᲘᲜ** არიან საკავშირო ჩემპიონატის მთავარი სნაიპერები? მოსკოვის „სპარტაკის" ფორვარდს ნ. ოსიანინს გატანილი აქვს 14 ბურთი. ცამეტ-ცამეტი გოლის ავტორები არიან ჯ. ხერხაძე (ქუთაისის „ტორპედო") და ე. პროსკურინი (დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი). გ. ჰუსაინოვმა („სპარტაკი") 12 ბურთი გაიტანა, გ. ნოდიამ (თბილისის „დინამო") — 11 ბურთი, რ. აბდულაევმა (ბაქოს „ნეფტჩი") — 10 ბურთი.

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐ ᲮᲕᲐᲚ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

30 ᲓᲐ 31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის დღეებია ფეხბურთში.

დღეს — თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" საკუთარ მოედნებზე ექნებათ პაექრობა. დინამოელთა მეტოქე იქნება ლუგანსკის „ზარია", ტორპედოელთა მოწინააღმდეგე — დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი.

მთავარი მატჩი კიევში შედგება ადგილობრივი „დინამოსა" და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდებს შორის. ამ მატჩის შედეგზე ბევრად არის დამოკიდებული ოქროს მედლების საკითხი. მოსკოვში ერთმანეთს შეხვდებიან ცსკა და დედაქალაქის „ტორპედო", ოდესაში — „ჩერნომორეცი" და დონეცკის „შახტიორი", ლენინგრადში — „ზენიტი" და ბაქოს „ნეფტჩი".

ხვალ კი მოსკოვში თამაშობენ მოსკოვისა და მინსკის დინამოელები.

ᲛᲝᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ, ᲛᲝᲒᲒᲘᲮᲐᲠᲘᲐ!

ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ

ტოკიო, 29 ოქტომბერი. (საკდესი). იაპონიის ქალაქ გიფუში გაიხსნა სახვითი ხელოვნებისადმი მიძღვნილი საბჭოთა ბეჭდვითი გამოცემების გამოფენა. ასეთი გამოფენა პირველად იმართება იაპონიაში. გამოფენის ინიციატორია საგარეო სავაჭრო გაერთიანება „მეჟდუნაროდნაია კნიგა", ხოლო მომწყობნი არიან — იაპონიის „ნიპანის" და „მეცნიერების" წიგნის ვაჭრობის ფირმები. გამოფენას იაპონიის კიდევ ოთხ ქალაქში უჩვენებენ.

□ □

სუდანის ახალი მთავრობა

ხართუმი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). სუდანის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი ბაბიკერ ავადალა სუდანის რევოლუციური საბჭოს გადწყვეტილებით დღეს გადადგა. რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ჯაფარ ნემეირიმ მინისტრთა ახალი კაბინეტი შექმნა, რომელშიც პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა. ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბაბიკერ ავადალა, რომელიც რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, დაინიშნა საგარეო საქმეთა მინისტრად და იუსტიციის მინისტრად, სუდანის არმიის გენერალური შტაბის უფროსი ჰალედ ჰასან აბასი — თავდაცვის მინისტრად, მაიორი ფარუკ ოსმან ჰამადალა — შინაგან საქმეთა მინისტრად.

ᲛᲘᲣᲡᲐᲣᲫᲔᲡ ᲙᲐᲪᲘᲛᲠᲝᲑᲐ

ბელგრადი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). ბელგრადის საოლქო სასამართლომ ეძებს თვის პატიმრობას მიუსაჯა გაზეთ „ᲙᲜᲘᲫᲕᲔᲚ ᲜᲝᲕᲘᲜᲔᲑᲘᲡ" ყოფილ მთავარ რედაქტორს ზ. გლუშჩევიჩს იმისთვის, რომ 30 აგვისტოს გამოაქვეყნა ცილისმწამებლური სტატია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.



ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲚᲘᲑᲐᲜᲨᲘ

ბეირუთი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). მდგომარეობა ლიბანში თანდათან სტაბილური ხდება. კომენდანტის საათი შემცირდა ბეირუთში და ბაუჰდა ტრისა და ბალბეკში. ᲮᲔᲠᲮᲘᲗᲘᲗ საბანგაში მდგომარეობაა ქვეყნის ჩრდილოეთით — ქალაქ ტრიპოლში და სამხრეთით — ქალაქ ბინტ-ᲯᲑᲔᲘᲚში.

ლიბანის დედაქალაქში გრძელდება პრეზიდენტ შარლ ჰელუსა და პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელთა შეხვედრები, რომლებზეც იხილავენ კრიზისის დაძლევის საკითხებს. პრეზიდენტი შ. ჰელუ გუშინ და დღეს ეთათბირა რაშიდ კარამეს და ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს გენერალ ემილ ბუსტანის. განიხილეს საკითხი, თუ ვინ უნდა შეიიდეს ლიბანის დელეგაციის შემადგენლობაში პალესტინის პარტიზანული მოძრაობის ხელმძღვანელებთან მომავალ მოლაპარაკებაზე.

ბეირუთი, 28 ოქტომბერი, (საკდესი). იორდანიის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი აბდელ მონეიმ არრიფაი დღეს ბეირუთში ჩამოვიდა და ჩამოიტანა მეფე ჰუსეინის პირადი წერილი ლიბანის რესპუბლიკის პრეზიდენტის შ. ჰელუსადმი. ჟურნალისტებისათვის მიცემულ განცხადებაში მან აღნიშნა, რომ წერილი ეძღვნება ლიბანში შექმნილი მდგომარეობის საკითხებს.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

30 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

10.55 — საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობა, 17.55 — ახალი ამბები, 18.05 — „ხიდი ტისაზე" — საბჭოთა კავშირ-უნგრეთის სატელევიზიო გადაცემა, 19.00 — კინონარკვევი, 19.15 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო" თბილისი — „ზარია" ლუგანსკი (II ტაიმი), 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო" კიევი — „სპარტაკი" მოსკოვი. შესვენების დროს ახალი ამბები, 21.45 — საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობა.

ᲗᲘᲗᲐᲢᲠᲔᲑᲘ

30 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სეჩუანელი კეთილი ადამიანი; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სიყვარული სახუმარო არ არის; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მეცხრე ტალღა; მოზარდ მაყურებელთა ქართული — დღეს ჩვენ ვფიქრობთ ბარათაშვილზე (№ 60 აბონ. საღ. 5 ს. და 30 წ.).

„ᲠᲘᲥᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ" ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

(ვაკე)

30 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ა" კლასის გუნდებს შორის

(I ჯგუფი)

„ზარია" (ლუგანსკი) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (თბილისი).

ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲝ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ.

თამაშის დასაწყისი 18 ს. და 15 წ.

ბილეთების საერთო გაყიდვა სტადიონის სალაროებში 30 ოქტომბერს დილის 10 საათიდან.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ



თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99 93 03, 99 03 09, პ/მგ. მდივნის — 99-72 80, სამდივნოსი — 99 66-10, განუფიცერებლებისა: ბარტიული — 99 87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93 20 34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93 14-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16 90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28 54, განცხადებების — 93 93 96.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 03490

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტ-მბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.